ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7329647

ნომერი: AR11070697

თარიღი : 18.12.2024

გაცემის თარიღი : 23.12.2024

გაცნობის თარიღი : 24.12.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, N 1 , (ნაკვეთი 33/110);

დამკვეთი-განმცხადებელი

- იონა ნიკოლაიშვილი პ/ნ 01617059466
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. N 3 ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს, წარმოადინეთ ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტაცია (ფოტომასალა)

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ დგინდება სადემონტაჟო ქოთნების კანონიერების საკითხი (არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო მიშენების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს). მშენებლობის ერთ–ერთ სახეს წარმოადგენს დემონტაჟი, რაც სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლოს საქმიანობის შესახებ საქართველის კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის მიხედვით, უნებართვო შენობა–ნაგებობების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალური ინსპექციის მიერ მითითების გაცემით. შესაბამისად, უნებართოდ მოწყობილი ქოთნების დემონტაჟისთვის უნდა მიმართოთ მუნიციპალურ ინსპექციას.

3. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - სამსახურს წარმოდგენილი სახით კიბის მოწყობა მიზანშეწონილად არ მიაჩნია, კერძოდ: 2021 წლის 01 მარტიდან ამოქმედდა ტექნიკური რეგლამენტი - “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები”, რომლის მიზანია შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა. რეკონსტრუქციის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას რეგლამენტის მოთხოვნები. ამავე დადგენილების მე-3 მუხლით დადგენილი მოთხოვნის სრულად უზრუნველყოფა ტექნიკურად შეუძლებელია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან“ შესაბამისობისათვის, ამ შემთხვევაში მისაწვდომობა მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნები და წარმოდგენილ იქნას შესაბამისად დამუშავებული გრაფიკული მასალა (ნახაზები) და შესაბამისი საექსპერტო შეფასებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ისე უნდა იქნას სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელებული , რომ დაცული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები. თქვენ შემთხვევაში უნდა მოეწყოს პანდუსი. გაასწორეთ მონტაჟი და წარმოადგინეთ პანდუსის ნახაზები ზემოაღნიშნული რეგლამენტის შესაბამისად.

4. მეტი თვალსაჩინოებისათვის ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო კიბის დატანით

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.